ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-12/150701031-16

"01" 04. 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: – №1506903 21.11.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ.კოდი №01.72.14.012.747) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-2" ფასადზე: შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტები. აღნიშნული ვიტრაჟების თავზე დამატებით შესრულებულია აგურის ფაქტურის ლესვა. აივანზე ლითონის დგარები მოწყობილია ფილის ბოლომდე და არ არის მოწყობილი მინის მოაჯირი. გასქელებულია სახურავის შუბლი.

„2-1" ფასადზე: შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე 0.15 მ-ით.

„ა-გ" ფასადზე: „ა-ა" ღერძთან შემცირებულია მოპირკეთების სიგანე. „გ-გ" ღერძის გარეთ მოწყობილია კაპიტალური კედელი.

უკანა და გვერდითა ფასადებზე სახურავის ძირებთან დასასრულებელია კედლების მოპირკეთება. კედლებში ფიქსირდება მცირე ზომის ხვრელები. არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილები.

არ არის მოწყობილი ჭიშკარი და დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „გეოკომპლექსი GEOcomplex" ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (საკ. კოდი №01.72.14.012.747) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/150701031-16 11.03.2015წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი მ. ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA0101950877795 16

№16/96816

15 / აპრილი / 2016 წ.

გიორგი რევაზიშვილი
01017039437
ჭიაურელის ქ. N14, მე-2 სად. ბ50

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #96128/12 წერილის პასუხად 01.04.2015წ. #ბ-12/150701031-16 ბრძანებაში მითითებულ დარღვევებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დარღვევების ნაწილი გამოსწორდა, კერძოდ: „1-2" ფასადზე მოეწყო მინის მოაჯირი. უკანა და გვერდითა ფასადებზე დასრულდა კედლების მოპირკეთება, მოეწყო ერთი წყალშემკრები მილი. მოეწყო ჭიშკარი და დასრულდა ტერიტორიის კეთილმოწყობა. მოეწყო ერთი წყალშემკრები მილი. გარდა ამისა, „ა-გ" ფასადზე დამატებით მოეწყო კონდიციონერი.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე